7

პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის _ _ სექტემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი " 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ" მე-8 მუხლის, მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის, ასევე მე–7 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე–15 პუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, მე-6 ქუჩის მიმდებარედ (დასავლეთით) არსებულ უსახელო ჩიხს ეწოდოს - მე-6 ქუჩის მესამე ჩიხი.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას.
3. შემდგომი რეაგირების მიზნით, აღნიშნული გადაწყვეტილება გადაიგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოში.
4. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას კონკრეტული ღონისძიებების გატარება.
5. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — ნიკა მჟავია

პროექცია -UTM ზონა - T 38, კოორდინატთა სისტემა - WGS 84

მასშტაბი: 1:2,000

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482624687**
თარიღი: **03/09/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 18 აგვისტოს №170737 წერილსა და მაღლაკის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის 2026 წლის 2 სექტემბრის №25-482624530 წერილს, რომლებიც ეხება სოფელ მაღლაკში, მე-6 ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩისთვის სახელწოდების – „მე-6 ქუჩის III ჩიხი“ – მინიჭების საკითხს. (თან ერთვის ორთოფოტო).

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო ქუჩისთვის შესაბამისი სახელწოდების მინიჭების მიზნით.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

18 / აგვისტო / 2026 წ.

KA011767179126926

№ **170737**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 14 აგვისტოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა ირაკლი სულაბერიძის (პ/ნ: 60001124896) M26009802 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ნომრის მინიჭება უძრავი ნივთისთვის საკადასტრო კოდით - 29.10.39.459. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის თანახმად, აღნიშნული უძრავი ნივთის საიდენტიფიკაციო მონაცემად მითითებულია - მუნიციპალიტეტი წყალტუბო, სოფელი მაღლაკი. ამასთან, მარეგისტრირებელ ორგანოში, შესაბამისი უძრავი ნივთის მიმდებარედ განთავსებული ქუჩის სახელწოდების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, გაგვიწიოთ სამართლებრივი დახმარება და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე მითითებული უძრავი ნივთის მიმდებარედ არსებული გზის მონაკვეთი სახელდებულია თუ არა.

- დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების, ტიპისა და მისი გავრცელების არეალის თაობაზე, ასევე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სახელდების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის მოძიების შემთხვევაში).

- უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით, მოგმართავთ შუამდგომლობით შეაფასოთ შესაბამისი ტერიტორია და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის, „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის № 239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ თანახმად განახორციელოთ გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

შენიშვნა: *ქუჩის სახელდების საჭიროების შემთხვევაში, ქუჩათა და გზათა ქსელის მართებულად დაგეგმარებისთვის აუცილებელია მუნიციპალიტეტმა თავად განსაზღვროს გეოგრაფიული ობიექტის გავრცელების არეალი (დასაწყისი, დასასრული) და მისი ტიპი.*

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
მაღლაკის ადმინისტრაციული ერთეული

წერილის ნომერი:**25-482624530**
თარიღი: **02/09/2026**

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N42 დადგენილებით დამტკიცებული ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების'' მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის ,,შ'' ქვეპუნქტის შესაბამისად გიდგენთ წინადადებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში N-6 ქუჩის მიმდებარედ (დასავლეთით) არსებულ გზას, შესაძლოა მიენიჭოს N-6 ქუჩის მესამე ჩიხი. (ორთოფოტო თან ახლავს)

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურს, საკითხის დარეგულირების მიზნით მიმართოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

პატივისცემით,

ქიშვარდი ნიჟარაძე

მაღლაკის ადმინისტრაციული ერთეული-მერის წარმომადგენელი